საქართველოს კანონი

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №40, 18.07.2005, მუხ. 264) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 72^7–72^9 პუნქტები:

„72^7. ადამიანის ორგანოების გადანერგვის ლიცენზია.

72^8. ადამიანის ქსოვილებისა და უჯრედების გამოყენების ლიცენზია.

72^9. ადამიანის ქსოვილების ან/და უჯრედების ექსპორტის ან/და იმპორტის ლიცენზია.“.

2. 21-ე მუხლის მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11. ამ კანონის მე-6 მუხლის 72-ე–72^9 პუნქტებით გათვალისწინებული საქმიანობის ლიცენზიის გამცემს უფლება აქვს, სალიცენზიო პირობების შესრულების კონტროლი კალენდარული წლის განმავლობაში მხოლოდ სამჯერ განახორციელოს.“.

3. 22^1 მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ამ კანონის მე-6 მუხლის 72-ე–72^9 პუნქტებით გათვალისწინებული საქმიანობების ლიცენზიების შეჩერება“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2025 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი,

1 ნოემბერი 2023 წ.

N3616-XIIIმს-Xმპ